# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№130 (9961) 2025 წლის 24 სექტემბერი, ოთხშაბათი


მორალურ კვარცხლბეკზე შემდგარ

## კოლექტიურ ზურაბიშვილებს

შევახსენებთ, რომ თავადვე ხართ უცხოეთის ფულზე გაყიდული და ყოველგვარ ღირსებას მოკლებული აგენტები...

## ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენ!



იხ. 3 გვ.

შევუნდოთ ქაჯობას!..



4

## კორუფციასთან ბრძოლაში ლოიალობა დაუშვებელია!

## საიდან იბადება

საქართველოში ამდენი სიძულვილი და მტრობა?!



იხ. 4 გვ.

იხ. 5 გვ.



ოთარ ჟორდანია

## 85

გამორჩეული ისტორიკოსი, პედაგოგი, ახალი თაობის აღმზრდელი



6

## დედა-ეკლესია 1700 წლისაა

შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## დაეხმარა თუ არა ამერიკა სტალინს ფაშიზმის დამარცხებაში?



იხ. 8 გვ.

## ევროპაში სამედიცინო პერსონალის დიდი დეფიციტია!

11

საქართველოდან კადრების გადინება გაძლიერდება!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

ნომრის ციტატები

## შალვა პაპუაშვილი:

# ჟამი ქვათა შეგროვებისა!..

● **ტაქტიკა, რომელსაც ფეხბურთში ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა ჰქვია, ზოგჯერ არ ამართლებს და მოწინააღმდეგე გუნდს იოლი გოლის გატანის საშუალებას აძლევს. ჩვენ ახლა სწორედ ამგვარი წარუმატებელი მანევრის მოწმენი ვართ ქართულ პოლიტიკაში, რომელიც უცხოეთიდან დაიგეგმა, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, ქართული ოპოზიციის მიერ ცუდად შესრულდა. უკვე თითქმის ერთი წელია, ოპოზიციისა და მისი უცხოელი მფარველების ტაქტიკა არჩეული მთავრობის გამიზნულ იგნორირებაში გამოიხატება, რაც საქართველოს ხელისუფლების ტაქტიკურ ჩიხში შეყვანას ისახავდა მიზნად. თუმცა, ნაცვლად ჩიხში შეყვანისა, „ქართული ოცნება“ კიდევ ერთი, ამჯერად ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების პირას დგას.**



● ამ წარუმატებელი ტაქტიკის ამოქმედება 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების არაღიარების მცდარი გადაწყვეტილებით დაიწყო. მაშინ ოპოზიციის უცხოელმა მფარველებმა მცდარად ივარაუდეს, რომ ისინი არჩევნებში გაიმარჯვებდნენ და მთელი ენერგია საარჩევნო კამპანიაში ოპოზიციის დახმარებისკენ მიმართეს. სწორედ ამიტომ ვიხილეთ უცხოელების და ოპოზიციის სინქრონიზებული პოლიტიკური გზავნილები და ავად სახსენებელი ენჯეოკარტელის ლამის ულიმიტო დაფინანსება, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საარჩევნო აგიტაციაში იყვნენ ჩართული. უფრო მეტიც, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ზოგიერთი უცხოელი, ყველა დიპლომატიური წითელი ხაზის დარღვევით, პირდაპირ შეუერთდა ოპოზიციის საარჩევნო კამპანიას. აშკარა იყო, რომ ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი ვაბანკზე წავიდა – დაუპირისპირდა მთავრობას და მხარი დაუჭირა ოპოზიციას.

● **თუმცა ოპოზიციის გამარჯვებასთან დაკავშირებით უცხოელების მოლოდინი მცდარი აღმოჩნდა. მათმა კამპანიამ, რომელიც არჩევნებს გადამწყვეტ რეფერენდუმად წარმოაჩენდა და ყველას არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა, გაამართლა, ოღონდ საპირისპირო შედეგით. არჩევნებზე მოსული მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი ჩვენი მოსახლეობის ის მდუმარე უმრავლესობა აღმოჩნდა, რომელმაც ზუსტად გაიგო რეფერენდუმის რეალური არსი და ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს მშვიდობიან და წარმატებულ მომავალს და არა ოპოზიციასთან ასოცირებულ ძალადობრივ და ბნელ წარსულს.**

● რადგან უცხოელებმა ასე ღიად დაუკავშირეს თავი ოპოზიციას, მათ ოპოზიციის მარცხის საკუთარ მარცხად მიღებაც მოუწიათ. შოკი იმდენად მოულოდნელი იყო და კოგნიტური დისონანსი იმდენად ძლიერი, რომ მათ გადაწყვიტეს რეალობის უარყოფა და ახლად არჩეული პარლამენტისთვის საბოტაჟის მოწყობა. ეს ყველაფერი ძალიან ირაციონალური იყო, რადგან ოპოზიციამ 150 მანდატიდან 61 მიიღო, რაც პარლამენტში მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდა. თუმცა ოპოზიციის ნაწილმა კიდევ ერთხელ დაიზიანა თავი, ხალხის ნდობა უარყო და პარლამენტის მანდატებზე უარი თქვა.

● **არჩევნების უარყოფის პოლიტიკამ მანკიერი წრე წარმოშვა, რომელიც პარლამენტის საბოტაჟით დაიწყო და მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობაზე უარით გაგრძელდა. უფრო მეტიც, რადიკალები არჩევნების ჩაშლითაც კი დაიმუქრნენ. თუმცა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის ტაქტიკამ არ გაამართლა. არჩევნების ჩაშლის გეგმა ჩაიშალა. საბოტაჟის მიუხედავად, არჩევნები დროულად ტარდება. ოთხი ოპოზიციური პარტიიდან ორი, რომლებმაც 2024 წელს საარჩევნო ბარიერი გადალახეს, არჩევნებში მონაწილეობს, თუმცა რაიმე გამარჯვების მოპოვების შანსი არ აქვთ. „ქართული ოცნება“ არჩევნებში აბსოლუტური გამარჯვებისთვის ემზადება.**

● ეს არჩევნები შეცდომების აღიარებისთვისაც შესაფერის მომენტს წარმოადგენს. მათ, ვინც არჩევნების უარყოფის მანკიერი ციკლი დაიწყო, ახლა აქვთ შანსი, გამოასწორონ თავიანთი მცდარი პოზიცია, გამოიჩინონ სათანადო პატივისცემა საქართველოს სუვერენიტეტისა და სახალხო ლეგიტიმაციის მიმართ და დაუბრუნდნენ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ცივილიზებულ ფორმას. ყველამ ფეხი უნდა აუბას ომებისა და საერთაშორისო დაპირისპირების დასრულების ეპოქის სულისკვეთებას. საქართველოს 4 ოქტომბრის არჩევნები ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდია და კარგი შესაძლებლობაა მათთვის, ვინც კეთილსინდისიერადაა განწყობილი საქართველოს მიმართ, დაასრულონ დაპირისპირებისა და არათანამშრომლობის მანკიერი წრე, რამეთუ

**„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში... ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა“!**



# ბაბუშერას ტრაგედიიდან 32 წელიწადი გასულა!

**აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს სოხუმის ბაბუშერას აეროპორტში დატრიალებული ტრაგედიიდან 32 წელი გავიდა.**

ამ დღესთან დაკავშირებით, დაღუპულთა ხსოვნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **გიორგი ჯინჭარაძემ**, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორ **კობა კობალაძესთან** ერთად დიღმის ძმათა სასაფლაოზე მიაგო პატივი.



**„ეს არის ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ეპიზოდი, რომელიც სამუდამოდ დარჩება მთელი ჩვენი ერის მეხსიერებაში. ამ ადამიანების თავგანწირვა გვავალდებულებს, გავაგრძელოთ ქვეყნის გამთლიანებისკენ მიმართული სამშვიდობო პოლიტიკა და ყველაფერი გავაკეთოთ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად“**, – განაცხადა **გიორგი ჯინჭარაძემ.**

1993 წლის 22 სექტემბერს, თვითმფრინავი, რომელიც თბილისიდან სოხუმში მიფრინავდა და რომლის ბორტზეც სამხედრო პოლიციის თანამშრომლები, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, გვარდიის მებრძოლები, მოხალისეები, სამედიცინო მუშაკები და მშვიდობიანი მოქალაქეები იმყოფებოდნენ, რუსული საბრძოლო ხომალდებიდან ნასროლი რაკეტით ჩამოაგდეს. საჰაერო ხომალდი ბაბუშერის აეროპორტში დაეშვა და მთლიანად დაიწვა. თვითმფრინავში მყოფი 132 ადამიანიდან 108 დაიღუპა.

**1992-1993 წლებში, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხების შესწავლის მიზნით შექმნილია ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი. მოლაპარაკებების შედეგად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით ეტაპობრივად მიმდინარეობს ცხედრების მოძიება, იდენტიფიცირება და გადმოსვენება.**

პრაიმტაიმი

# ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფესტივალი „ხიდი 2025“ ზუგდიდში

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს აფხაზეთის მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით ზუგდიდში 5-დღიანი პროექტი – ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფესტივალი „ხიდი“ ჩატარდა.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, ფესტივალის დახურვის ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია** და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **დავით ვერავა**, საზოგადოების სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

**ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფესტივალი მეორედ ჩატარდა, რომლის დასკვნით ღონისძიებაზე მოეწყო პროექტის მონაწილე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, ასევე, საღამოზე წარმოდგენილი იყო პოეტური ნაწარმოებები და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით შესრულდა სიმღერები და ქორეოგრაფიული ნომრები.**

**„უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მშვიდობას, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, საქართველოს ერთიანობასა და ქვეყნის მომავლის გაბრწყინებას.**

**გულწრფელი მადლობა ღონისძიების ყველა ორგანიზატორსა და მონაწილეს სამშობლოსადმი მათი სიყვარულისა და ერთგულებისთვის. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგად მოხდება ჩვენი ქვეყნის გაერთიანება“**, – განაცხადა **დავით ფაცაციამ.**



საქართველოს რესპუბლიკა

საზოგადოება ქართული

# ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენ!



## მორალურ კვარცხლბეკზე შემდგარ კოლექტიურ ზურაბიშვილებს შევახსენებთ, რომ თავადვე ხართ უცხოეთის ფულზე გაყიდული და ყოველგვარ ღირსებას მოკლებული აგენტები

**„საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა კრებსითად გამოხატა რადიკალების პოზიცია და ღირსება დაუწუნა ხელისუფლებას, თითქოს ოფიციალურად არ იყოს „მაკკეინის ფონდის“ „სტივენდიატი“ და სულ რაღაც ერთი კვირის წინათ, ტაივანის „ბენეფიციარ“ თინა ხიდაშელთან ერთად, ვაშინგტონში „ჰელსინკის კომისიის“ წინაშე არ ეცადოს საქართველოს მორიგი „გაშავება“.**

**ეს ქალბატონები და მათი სახით, ზოგადად, ე.წ. ნეოლიბერალური ტოტალიტარული „ბაგლი“, რომელთა პროფესია ქართულის საზიანოდ უცხოური ინტერესების დაცვაა, მრავალფეროვანია, მაგრამ არა მრავალრიცხოვანი.**

ისინი ჩვენში ერთ დღეს არ გაჩენილან. გეოპოლიტიკური ინტერესების პრიზმაში დასავლეთის მმართველმა „დიფ სთეითმა“ აქ საკუთარი მეხუთე კოლონის შექმნა და ახალი ქართველების გამოყვანა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო.

წლობით გარედან დაორგანიზებული პროცესის შედეგად საქართველოში აკადემიური და კრიტიკულად მოაზროვნე ქართული საზოგადოება კარგად დაფინანსებულმა და უცხოეთიდან მართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ ჩაანაცვლა, ქართული პოლიტიკური სუბიექტები და მედია-საელჩოებიდან „ხელით მართვაზე“ მყოფმა პარტიებმა და მათმა მედიაორგანოებმა, ეროვნული ღირებულებები – ნეოლიბერალურმა დოქტრინებმა, დიალოგი და ურთიერთპატივისცემა კი – სიძულვილის ენამ და განსხვავებული აზრის მატარებლების ტერორმა.

**დასავლეთიდან მართული ქართული კლასტერი ჭრელია და აქ შეხვდებით როგორც ყველა პარტიაგამოვლილ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ „უბერებელ“, ვეტერან პოლიტიკოსებს, ისე მარად ახალგაზრდა „პერსპექტიულ“ მწერლებსა და უნიჭო პოეტებს, ფულიან ენჯეოშნიკებსა თუ გრანტიჭამია სტუდენტურ მოძრაობებს, ხელოვანებს, რომელთაც, ყველას ერთად, აქვთ პრეტენზია, მხოლოდ ისინი წარმოადგენდნენ საქართველოში დასავლური ორიენტაციის გუშაგებს.**

დღეს ქართველი ლიბერალები ღრმა კრიზისში არიან, რადგან მათი საერთაშორისო ინტერნაციონალი ამერიკაში დამარცხდა და შეწყდა დაფინანსება ვაშინგტონიდან, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე კი, 13 წელია, მუდმივ მარცხს განიცდიან. ამ ვითარებაში ქართველმა ნეოლიბერალებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ მორალური კვარცხლბეკი არის ის შემორჩენილი არეალი, სადაც მათ აქვთ უპირატესობა და უფლება, ქართველი ერის უმრავლესობა დაამუნათონ.

მათი ეს ვირტუალური ზნეობრივი პიედესტალი, რუსთაველის ქუჩაზე შამანობასა და მდაბიო წყევლის კამპანიების აკომპანემენტით, ისეთივე კომიკურია და უსაფუძვლო, როგორც უსამშობლო კოლექტიური ზურაბიშვილების ფუჭი ცდა, მორალი წაუკითხონ და ღირსება დაუწუნონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ორჯერ, 2011 და 2022 წლებში ქვეყნის ინტერესებისთვის გადადო არა მხოლოდ საკუთარი მილიარდიანი ქონება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი, ოჯახი და შვილების მომავალი.

**ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენო, ნათქვამია. ვერც ლამაზი სიტყვები და ვერც მაღალი ტრიბუნები ვაშინგტონიდან თუ ბრიუსელიდან ვერ გადაფარავს ქართული რადიკალური ოპოზიციის მრავალწლიანი ღალატის ქრონიკას, რაც არანაირად არ აძლევს მათ უფლებას – ფულზე გაყიდულებს და ღირსებაგაყიდულებს – სხვებს უკითხონ მორალი.**

ქართველი ნეოლიბერალი ფაშისტების მორალისტობა არ გვიკვირს, რადგან ორუელის ნაწინასწარმეტყველებ ნეოლიბერალების ტოტალიტარულ სამყაროში ომს მშვიდობა ჰქვია, მშვიდობას კი – ომი, სიკეთეს ბოროტება და ბოროტებას – სიკეთე, ღალატს – ერთგულება და ერთგულებას – ღალატი, მორალს ამორალურობა და ამორალურობას – მორალი, არაბულ ინვესტიციას – უბედურება და უცხოურ გრანტებს – სიკეთე.

საქართველოს პრობლემა დღეს სწორედ რომ ქართული ჯანსაღი ოპოზიციის ნაცვლად, გარედან მართული და უცხო ძალების ინტერესების გამტარებელი აგენტურის არსებობაა, რომელსაც არც მორალი გააჩნია და არც ღირსება.

ამიტომაც მივესალმებით ქართული სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გამოცხადებულ ქვეყნის სუვერენიზაციის მყარ პოლიტიკას, კანონმდებლობაში ღალატის მუხლის აღდგენასა და გამჭვირვალობის ამერიკული „ფარა“-ს კანონის მიღებას.

**მხოლოდ გამჭვირვალობით, ყველაფრისათვის საკუთარი სახელის დარქმევით და უცხოეთზე მომუშავე სუბიექტების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის აკრძალვით არის შესაძლებელი, გავთავისუფლდეთ ექსტრემისტი, ტერორისტული შიდა აგენტურისგან, რომლისთვისაც მთავარია არა ღირებულებები და მორალი, არამედ უცხოეთიდან ქვეყნის ინტერესების გაყიდვისთვის მიღებული სარგებელი“...**




**საბჭოთა კავშირის შექმნის პროექტი ეფუძნებოდა „ახალი ისტორიული ერთიანობის“ შექმნის იდეას – საბჭოთა ხალხით სათავეში. ეროვნულ, კულტურულ და რელიგიურ განსხვავებებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ მათ შთანთქმას ერთიან სოციალისტურ იდენტობაში. ევროკავშირმა, ანუ „ევროსაბჭოთა კავშირმა“, იგივე გზა გაიარა, თუმცა განსხვავებული დროშით – ლიბერალური ფასეულობების სახელით: „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“, რაც სინამდვილეში გადაიქცა ერთგვარ იძულებით ჰომოგენიზაციად.**

## ბრიუსელი VS მოსკოვი:

# იპოვე ათი განსხვავება

**ბრიუსელი ცდილობს, ყველა წევრ-ქვეყანას თავზე მოახვიოს საერთო რეგულაციები, კანონები და „ევროკავშირის ღირებულებები“, რასაც ხშირად მოსდევს ეროვნული იდენტობის გაქრობა. აქედან დასკვნა: ნებისმიერი ინტეგრაცია, რომელიც უგულებელყოფს ღრმა კულტურულ, რელიგიურ და ისტორიულ განსხვავებებს, აუცილებლად იწვევს იდენტობის კრიზისს.**

საბჭოთა კავშირში მოსკოვი იყო ცენტრი, სადაც კონცენტრირდებოდა განუსაზღვრელი ძალაუფლება. რესპუბლიკებს ჰქონდათ მხოლოდ ფორმალური სუვერენიტეტი, მაგრამ რეალურად უპირობოდ ემორჩილებოდნენ პარტიულ და იდეოლოგიურ ცენტრს. დღეს „ევროსაბჭოთა კავშირში“ ბრიუსელი იმავე როლს ასრულებს: ეროვნული პარლამენტები სულ უფრო ხშირად მხოლოდ ფორმალურად იღებენ გადაწყვეტილებებს, რადგან ძირითად საკითხებს წყვეტს ევროპული კომისია და ევროპარლამენტი – მიგრაციის პოლიტიკა, ენერგეტიკული სტრატეგია, სანქციები მესამე ქვეყნებზე, „კლიმატური შეთანხმებები“ და ა.შ.

შინაარსობრივად საბჭოთა ნომენკლატურა ბრიუსელის ბიუროკრატიის იდენტურია. ორივე შემთხვევაში, „ელიტა“




უგულებელყოფს ხალხის ინტერესებს, რაც აძლიერებს სოციოპოლიტიკურ დაძაბულობას. 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში განვითარებულმა ეკონომიკურმა კოლაფსმა გამოიწვია სერიოზული რღვევა: დეფიციტი, წარმოების შემცირება, რესპუბლიკებს შორის უთანასწორო განვითარება. ეს ყველაფერი გამოიწვია რესპუბლიკური ელიტების ბრძოლამ საკუთარ რესურსებზე კონტროლის დასამყარებლად.

იხ. 8 გვ.



## კორუფცია თუ შიდა დაპირისპირება?

# კორუფციასთან ბრძოლაში ლოიალობა დაუშვებელია!

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის გარშემო წრე ვიწროვდება. ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებისა და შენახვის ფაქტებზე, დაკავებულია ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლის ძმა ვასილ მხეიძე, ასევე ბურჭულაძის პირადი დაცვის წევრი ნუგზარ ცაგაურაშვილი, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. საერთო ჯამში, დაკავებულია ოთხი პირი – მარიამ არჩემაშვილი, ნუგზარ ცაგაურაშვილი და ვიქტორ აგაიმოვი.**

რაც შეეხება **ვასილ მხეიძეს,** მას სისხლის სამართლის სხვა საქმეზე, სადაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში დახმარებას ედავებიან, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს. მხეიძე სასამართლო პროცესს არ დაესწრო. როგორც რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოგზავნილ ოქმში იყო ნათქვამი, ის პროცესზე დასწრებაზე უარს აცხადებდა.

**სახელმწიფო ბრალდების მიხედვით, ბრალდებულები, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებულ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2 176 000 ლარზე მეტი ღირებულების, 325 000-მდე კოლოფ უაქციზო ფილტრიან სიგარეტს ინახავდნენ, რაც საგამოძიებო ორგანომ ამოიღო. ბრალდებულებმა, ფინანსური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით, ჩამოაყალიბეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. ჯგუფის წევრებს ქალაქ გორში, მფლობელობაში გააჩნდათ მიწის ნაკვეთი – მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით და ტექნიკური აღჭურვილობით, სადაც ახორციელებდნენ აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ფილტრიანი სიგარეტის უაქციზო დამზადებასა და შენახვას, მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. უფრო მეტი სარგებლის მისაღებად კი, ბრალდებულები სიგარეტის დასამზადებლად, ძირითადად, იყენებდნენ ცნობილი უცხოური ბრენდის დასახელებასა და სასაქონლო ნიშანს.**

**ვასილ მხეიძე,** თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან **გიორგი ხაინდრავასთან** და იმავე სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსთან **ვლადიმერ ღუდუშაურთან** ერთად დააკავეს. **ღუდუშაურსა** და **ხაინდრავას** – განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად გაფლანგვას ედავებიან, **მხეიძეს** კი – გაფლანგვაში დახმარებას.

როგორც for.ge-ს წყარო უყვება, ხმაურიანი დაკავებები ამით არ დასრულებულა. წყაროსვე ინფორმაციით, ანტიკორუფციული სამსახური სწავლობს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის **ზურაბ აზარაშვილისა** და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის, **ირაკლი ქარსელაძის** მინისტრობის პერიოდს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხმაურიანი დაკავებები კვლავ გაგრძელდება.

**კულუარებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი არ იქნება ბოლო საფეხური. თუმცა, ჩნდება კითხვა – რა დგას ამ დაკავებების უკან, სადაც „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები ფიგურირებენ?**

პოლიტოლოგის და ფსიქოლოგის **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ამ შემთხვევაში, გააჩნია, რის დაპირისპირებას რასთან? თუ კორუფციას ვუპირისპირდებით, პოლიტოლოგი ასეთ დაპირისპირებას მიესალმება.

**„პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც მერე მიიღებს იურიდულ სახეს, რა თქმა უნდა, კრიტიკის საგანია, შიშს აჩენს. თუმცა, მეორე მხრივ, ჯუანშერ ბურჭულაძე არ წარმოადგენდა ისეთ ფიგურას, რომელიც კორუფციით იყო „გასაფუჭებელი“ და პოლიტიკით ვერ მოერივნენ. არ იყო ისე თავაწყვეტილი ბურჭულაძე პოლიტიკაში, რომ მისი რამით გაჩერება ნდომოდათ. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ ეს არის კორუფციასთან დაპირისპირება.**

**საერთოდ, სამართალი პრევენციული მოვლენაა, ყველას ვერ იჭერს ვერცერთი სახელმწიფო. იჭერს რამდენიმეს, რომ დანარჩენებმა არ ჩაიდინონ ცუდი საქციელი. ვფიქრობ, რომ ანალოგიური მოდელია აქაც“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ახლა მნიშვნელოვანია, რამდენად ღრმად შეიძლება წავიდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და გასცდება თუ არა ბურჭულაძეს? პოლიტოლოგის განცხადებით, კორუფციასთან ბრძოლა ძალიან ღრმად შეიძლება წავიდეს, მაგრამ გააჩნია, რამხელა სიღრმეები აქვს თვითონ კორუფციას საქართველოში...

**წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს არანაირი ფული არ ჰქონდა, როცა შევიდა ხელისუფლებაში. მერე ვნახეთ, რომ კეზერაშვილი მილიონერი გახდა, უცხოეთში ზის, იქ ატრიალებს თავის მილიონებს და აქ გადატრიალებას აფინანსებს! აგერ, ყოფილი პრეზიდენტი იძახის, რომ დედაჩემის პენსიაზე მაქვს ყველაფერი ნაყიდიო, მაგრამ დედამისის ქონება რომ დაითვალეს და ის ხარჯები, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ გადატრიალების მიზნით აქვს გადახდილი, ცხადია, ამას გიულის ხელფასი არ ეყოფოდა.**

**ანუ კორუფცია შემოატრიალა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, დიდი ნაწილი პოლიტიკურ ჯიბეში გაუშვა და ამუშავა პოლიტიკაზე, რითაც ცხადი გახადა, რომ კორუფცია სახელმწიფოსთვის სახიფათო შეიძლება იყოს. კორუფციის კავშირი პოლიტიკასთან არ არის ჩვენთვის უცხო. თუ თვალს გავახელთ, დავინახავთ, რომ ასეთი კავშირი არსებობს და სადაც ასეთი კავშირი არსებობს, იქ გადის კორუფციის მიმართ წითელი ხაზი, იქ ლოიალობა უკვე არ შეიძლება,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

ესაუბრა

**თამთა ქარჩავა**

# საიდან იბადება საქართველოში ამდენი სიძულვილი და მტრობა?!

**„მხატვარ გია ბუღაძეს დეზინფორმაციას უვრცელებენ. საქმე ეხება წლების წინ სამხატვრო აკადემიაში მოწყობილ პერფორმანსს, სადაც სტუდენტები წრეზე დასხდნენ და ერთმანეთს აფურთხეს. სამხატვრო აკადემიის რექტორი ამ პერიოდში გია ბუღაძე იყო“.**

**ასე იწყება 15 სექტემბრის გაზეთ ახალ თაობაში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „გია ბუღაძეს დეზინფორმაციას უვრცელებენ“.**

ამავე წერილში თვითონ ბატონი გია ბუღაძე წერს. 2005 წელს „როდესაც აკადემიის რექტორი ვიყავი, ჩემმა (ხაზგასმა ჩემია.ნ.კ.) ჩემთან დაპირისპირებულმა სტუდენტებმა ჩაატარეს პერფორმანსი „სველი წრე“... არც მე ვიყავი მათი თაყვანისმცემელი და არც ისინი ყოფილან ჩემი თაყვანისმცემლები. გავშვებმა ერთმანეთს რომ აფურთხეს, ამის ორგანიზატორი მე არ ვყოფილვარ“... (ყოჩაღ, გია!) ...ხელი არ შემიშლია, ხელი რომ შემეშალა, ვიქნებოდი ცენზორი და ცენზორის როლში ყოფნა არ მინდოდა“... „არ ვიბრძოდი, ბრძოლა ხელოვნებაში რა საკადრისია?“

**ვაი ჩვენს თავს, ასეთი აზროვნების ადამიანი ვინ აირჩია რექტორად?**

მხოლოდ ზემოაღნიშნულით ეს ამბავი არ მთავრდება.

**მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ იმ პერიოდში სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა გვასალიამ (გვარი თუ მეშლება, გომიშს ვიხდი), შეძლებული ოჯახის შვილმა და ლამაზმა გოგონამ თავი მოიკლა. ქალიშვილმა წერილი დატოვა, „მშვიდობით, აგრესიული და უსამართლო ქვეყანავ“.**

**ქალიშვილის თვითმკვლელობა ტყვიასავით მოგვხვდა ყველას!**

**როცა სამხატვრო აკადემიაში ასეთი ატმოსფერო იყო, ხოლო ქვეყანაში საშინელი განუკითხაობა ტრიალებდა, ოჯახში გაზრდილმა მაღალი ზნეობისა და იდეალების მქონე ქალიშვილმა სიკვდილი არჩია.**

**ქალიშვილის თვითმკვლელობაში არის თუ არა დამნაშავე სამხატვრო აკადემიის მაშინდელი რექტორი და მისი ამრჩევ-დამნიშნავი?**



ამავე წერილში გამოქვეყნებულია მწერალ ლაშა ბუღაძის გამოხმაურებაც – „ამას არ ვიტყოდი, რომ არა შპანას მიერ კალაძის მიერ გამეორებული პროპაგანდა „როგორ აფურთხებინა სტუდენტებს“ მამაჩემმა, როცა ის სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო. არც მამაჩემზე ვიტყოდი, ეს რომ მხოლოდ მას ეხებოდეს“, „მაგრამ მეც მეხება და ეხება ყველას, ვისაც ივანიშვილის რუსული პროპაგანდა ირჩევს სამიზნედ“...

**ვინც ლაშა ბუღაძეს არ იცნობს, ეს ერთი ამონაწერი მისი გამოხმაურებიდან საკმარისი იქნება, რომ მწერალ ლაშა ბუღაძეზე წარმოდგენა შეექმნას. „რუსული პროპაგანდა“, „რუსული კანონები“, „რუსული აზროვნება“. ყველგან და ყველაფერში რუსეთის დემონიზაციის მცდელობა ლაშას და მისი მეგობრების შემოქმედებაა.**

ამის შედეგია ისიც, რომ რუსთაველის გამზირზე შეკრებილებმა ერთი მოქალაქე, რომელიც რუსი ეგონათ, სცემეს. ხვალ თუ რუსთაველზე რუსი ეროვნების მოქალაქეს დაინახავენ, შეიძლება ცემით მოკლან, რასაც აუცილებლად მოჰყვება რუსეთის პასუხი. რუსეთის ხელისუფლებას გამოცხადებული აქვს, რომ ისინი მკაცრად უპასუხებენ ნებისმიერ ქვეყანას, თუ რუსეთის მოქალაქის სიცოცხლეს ხელყოფენ.

რუსეთში არიან ძალები, რომლებიც საბაბს ეძებენ, რომ საქართველოში შემოიჭრან რათა ქართველებს აზღვევინონ ყველაფერი, რაც მათ საქართველოს უნიჭო პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა მიაყენეს წლების განმავლობაში. ასეთ ვითარებაში არაპოლიტიკოს საქართველოს მოქალაქეს ებადება კითხვა, ლაშა ბუღაძე, ელენე ხოშტარია, გუბაზ სანიკიძე და მისი შვილი ლევანი, პაატა ბურჭულაძე და სხვები, ხომ არ არიან შეკრულები რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან?..

**ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული ფაქტები, დამნაშავეთა დაუსჯელობა წარმოშობს საქართველოში ერთმანეთის მიმართ სიძულვილს და მტრობას.**

**ნუგზარ კობახიძე,**

დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის პრეზიდენტი გულით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს დამსახურებულ მეცნიერს, ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ცხუმ-აფხაზეთისა და საქართველოს პედაგოგიური აკადემიების ნამდვილ წევრს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეს – პროფესორ **ოთარ ჟორდანიას** და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ადამიანურ ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

# გამორჩეული ისტორიკოსი, პედაგოგი, ახალი თაობის აღმზრდელი

## ოთარ ჟორდანია – 85

**ოთარ ჟორდანიამ თავისი ბავშვობა და ყრმობა საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში – აფხაზეთში გაატარა. სწორედ ამ წლებში შეიძინა და დღემდე ერთგულად ატარებს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრობის მდიდარ ტრადიციას, რომლის ერთგული და გამტარებელი, უამრავი ფაქტორის მიუხედავად, დღემდე არის და არც იცვლება. სწორედ სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში შეიძინა ისტორიკოსის პროფესია, რომელსაც ღირსეულად და ამაყად დღემდე ატარებს და არასოდეს გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან.**

ისტორიკოსი – ეს რთული და მეტად შრომატევადი პროფესიაა და მისი სიღრმისეული საფუძვლები ოთარ ჟორდანიამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში შეიძინა. ინსტიტუტს იმჟამად დიდი ქართველი მეცნიერი, აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც გარშემო შემოიკრიბა ქართველი ისტორიკოსების უბრწყინვალესი თაობა და მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, შეძლო ინსტიტუტში ნაყოფიერი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა. იმ წლებში განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩეოდა საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილება: პროფ. ი. ანთელავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ე. ხოშტარია, ე. ორჯონიკიძე, გ. მარგიანი და სხვები, რომლებიც რუდუნებით სწავლობდნენ XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, პოლიტიკურ ურთიერთობებს, კულტურული განვითარების საკითხებს. ახალგაზრდა ოთარ ჟორდანიამ სოციალური ურთიერთობების კვლევა ამჯობინა და ინტენსიურად შეუდგა სამეცნიერო საქმიანობას. პარალელურად აქტიურად ჩაება ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში – დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითგანვითარებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა დისკუსიებსა თუ პაექრობებში.

ბეჯითი, ახალგაზრდა კაცი მალე შეამჩნიეს, სათანადო პირობებიც შეუქმნეს და მან ჯერ 1971 წელს – საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია მოამზადა და წარმატებით დაიცვა. მის შემდეგ მან ღირსეულად დაიკავა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა. ოთარ ჟორდანიას სამეცნიერო კვლევების ძირითად ინტერესს ურთულესი XIX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები წარმოადგენს. მისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ საქართველოში განხორციელებულ საგლეხო რეფორმას ეხება – ეს იყო ურთულესი და გარდამტეხი პერიოდი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როცა ტრადიციული ფასეულობები და სოციალური სტრუქტურები ადგილს უთმობდნენ ახალს, ევროპული ეკონომიკური ურთიერთობების რუსულად ინტერპრირებულ პრიორიტეტებს, რაც საქართველოში საკმაოდ წინააღმდეგობრივი შედეგებით აღინიშნა. მკვლევარმა არგუმენტირებულად აჩვენა, თუ როგორ ინგრეოდა ძველი და რა სიახლე მოჰქონდა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოს მოსახლეობისათვის: რა დაიკარგა წარსულიდან და რა შეიძინა ახალი ქართველმა ხალხმა. მალე დისერტაცია მონოგრაფიად გამოქვეყნდა და დიდი აღიარებაც მოიპოვა ქართველ მეცნიერთა შორის და დღეს ის ბევრი ისტორიკოსისათვის სამაგიდო წიგნია.

**მეტად მდიდარია ოთარ ჟორდანიას შემოქმედებითი პალიტრა: მკვლევარმა ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა მიუძღვნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემურ საკითხებს, მას შესწავლილი აქვს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საჭირბოროტო პრობლემებიც. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო ისტორიას, ფალერისტიკის ისტორიის ზოგიერთ საკითხს და ა.შ.**

**გამორჩეულად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მას დაავალა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკად. გ. მელიქიშვილმა გამხდარიყო ისტორიის ინსტიტუტის მემატიანე – ინტენსიური შრომის შედეგად ო. ჟორდანიამ საისტორიო საზოგადოებას წარუდგინა თავისი კვლევის მნიშვნელოვანი შედეგი: „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“ (1988 წ.), რომელშიც გასიგრძეგანებულია ამ უძველესი და ყველაზე ეროვნული ინსტიტუტის ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, დეტალურად არის შესწავლილი ყველა სამეცნიერო განყოფილებისა თუ სამეცნიერო უჯრედის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საქმიანობა, რითიც ო. ჟორდანიამ არა მარტო შეაჯამა შემოქმედებითი კოლექტივის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული გზა, არამედ დასახა მისი განვითარების პერსპექტივებიც.**

ოთარ ჟორდანია მუდამ არის ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრში, მისი უკომპრომისო ხასიათი, შემტევი ბუნება და უზარმაზარი თეორიული მომზადება მას ხდის შეუცვლელს დისკუსიებსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასთან ერთად ოთარ ჟორდანია აქტიურად ჩაება ამ მოძრაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმეში, განსაკუთრებით, როცა თავი იჩინა აფხაზური სეპარატიზმის მანკიერმა პრაქტიკამ. ასეთ დროს მისი პუბლიკაციები მიმართული იყო ამ სენის მატარებლებისა და მათი წამახალისებლების ცრუ-მეცნიერული შეხედულებების გასაცამტვერებლად, ეროვნული ინტერესების დასაცავად.

**უდიდესია ოთარ ჟორდანიას დამსახურება სამოქალაქო ომის შედეგად სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის თბილისში დამკვიდრების, მისი მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის საქმეში. 1993-დან 2005 წლამდე სწორედ მისი, როგორც რექტორის, სახელთან არის დაკავშირებული დევნილი უნივერსიტეტის ახალ ლოკაციაზე დამკიდრება, ახალი სამეცნიერო კადრების მოზიდვა, სტუდენტების ახალი თაობის აღზრდა, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაღრმავება და შემდგომი განვითარება.**

ბოლო რამდენიმე წელია, ოთარ ჟორდანია უნარიანად ხელმძღვანელობს საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოებას, რაც მიუთითებს მის გამორჩეულ ავტორიტეტსა და უნარებზე. ამის გარდა ო. ჟორდანია რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, წევრი ან კონსულტანტია.

გამორჩეული აღნიშვნის ღირსია ოთარ ჟორდანია – პედაგოგი, ლექტორი, ისტორიკოსთა ახალი თაობის აღმზრდელი. მისი ლექციები მუდამ გამოირჩევა სიღრმით, არგუმენტაციით. მან არაერთი ახალგაზრდა ისტორიკოსი „დააფრთიანა“ – გაუწია მეცნიერ-ხელმძღვანელობა, აზიარა მეცნიერის რთულ პროფესიას.

**დღეს კი უკვე 85 წელი შეუსრულდა – აშკარაა: ოთარ ჟორდანიას მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება მუდამ ინტენსიურ კავშირში არის კოლეგებთან, თანამშრომლებთან, თანამოაზრეებთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უსურვებს ღვაწლმოსილ მეცნიერს მხნეობას, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად:**

**1. ლევან ყანჩაველის სახელობის პრემია – აგრონომიის დარგში;**
**2. ვარლამ შამათავას სახელობის პრემია – მეცხოველეობის და ვეტერინარიის დარგში;**
**3. კონსტანტინე ამირაჯიბის სახელობის პრემია – აგროინჟინერიის დარგში;**
**4. მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემია – გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის დარგში;**
**5. ვასილ პეტრიაშვილის სახელობის პრემია – სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის დარგში;**
**6. ივანე ჯაშის სახელობის პრემია – ეკონომიკის დარგში.**

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი), რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარმოადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2025 წლის 24 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, შემდეგ **მისამართზე:** თბილისი, ივანე ჯავახიშვილის 51, კანცელარია. საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის $11^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე.

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 5 93 58 01 37**

## სამხრეთ ამერიკაში პირველად აღმოაჩინეს ქარვა დინოზავრების დროინდელი მწერებით

**სამხრეთ ამერიკაში, ეკვადორის აღმოსავლეთით მდებარე ქვიშის კარიერში, აღმოჩენილია პირველი ბიოლოგიური ნაწილაკების შემცველი ქარვის ნიმუშები, რომელთა ასაკიც 112 მილიონი წელია.**

გაქვავებულ ფისში შემორჩა ობობას ქსელი, კოღოები, ხოჭოები, ბუზები, კრაზანები და სხვა მწერები, რომლებიც დინოზავრების ეპოქაში ცხოვრობდნენ. ინფორმაცია აღმოჩენის შესახებ გამოქვეყნებულია ჟურნალში Communications Earth & Environment.

კვლევაზე საერთაშორისო ჯგუფი მუშაობდა, ბარსელონის უნივერსიტეტის პროფესორის **ხავიერ დელკლოსის** ხელმძღვანელობით.



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფისი შესაძლოა წარმოიქმნა წიწვოვანი ხეებისგან, რომლებიც თანამედროვე ეკვადორის ტერიტორიაზე სუპერკონტინენტ გონდვანას არსებობის პერიოდში იზრდებოდნენ. ქარვის 60 ნიმუშიდან ბიოლოგიურ ჩანართებს მესამედზე მეტი შეიცავდა.




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა

# «ის, რაც გვაერთიანებს»!

**2024 წლის დასაწყისში „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პოპულარიზაციის სამეცნიერო ცენტრის" მესვეურებმა საქართველოს საპატრიარქოს გააცნეს მოსაზრებები ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.**

**მათი სურვილი იყო, 2024 წლიდან ქვეყნის მასშტაბით დაწყებულიყო შემეცნებითი შეხვედრები და შემოქმედებითი საღამოები ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით.**

**საპატრიარქომ მოიწონა ეს განზრახვა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან თანამშრომლობით საფუძველი ჩაუყარა სამწლიან (2024-2026 წლები) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას „ქართული თვითმყოფადობა". ამ პროგრამის ფორმატში შარშან და წელს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ლექციები ჩვენი ერის, ეკლესიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. მოსახლეობის ფართო ფენებთან გამართულმა შეხვედრებმა გამოავლინა ჩვენს საზოგადოებაში არსებული დიდი ინტერესი მსგავსი საგანმანათლებლო პროექტებისადმი.**

**ამის საფუძველზე მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა შორის გაჩნდა მოსაზრება, რომ საიუბილეო თარიღის ფართო მასშტაბით აღნიშვნა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას.**

**ამ იდეის მესვეურებმა წინადადებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებს, შექმნილიყო საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიერ საიუბილეო თარიღის მნიშვნელობის გაცნობიერებას და მის აღნიშვნაში აქტიურ მონაწილეობას. მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მხარდაჭერით შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ის, რაც გვაერთიანებს"; მასში გაერთიანებული არიან ყველასათვის ცნობადი სახეები – ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. მოძრაობის მიზანია, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიეროს ჩვენი ქვეყნისათვის ამ თარიღის გამორჩეული მნიშვნელობა.**

**დასახული მიზნის განხორციელებისთვის დაგეგმილია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა სერია მთელი ქვეყნის მასშტაბით. პირველი საღამო ამ მოძრაობის ეგიდით თბილისში 2025 წლის 2 სექტემბერს „ექსპო-ჯორჯიას" მე-3 პავილიონში გაიმართა, ხოლო მიმდინარე წლის 19 სექტემბერს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უმასპინძლა ამ შეკრებას და ჩატარდა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან".**

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა;** სიტყვით გამოვიდნენ: აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული,** ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **გიორგი ჭეიშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე,** ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის მუზეუმის დირექტორი **გივი ღამბაშიძე,** საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ირაკლი ბრაჭული,** ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **მარიამ გაჩეჩილაძე,** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **ზაზა აბაშიძე,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **რეზო კორინთელი,** ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი **ზაზა რუხაძე,** სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი **თეა ჯუღელი,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების სასახლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **იზოლდა მელიქიშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თამაზ ჯოლოგუა** და სხვ.

**სხდომა შეაჯამა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარმა, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა.**

**საორგანიზაციო შეხვედრები, შემეცნებითი საუბრები და შემოქმედებითი საღამოები გაგრძელდება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.**

# თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის უძველესი და ულამაზესი სასახლის ახალი სიცოცხლე

**თბილისის განვითარების ფონდმა, პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია-რესტავრაცია დაასრულა. მოსწავლე-ახალგაზრდობის განახლებული სასახლე თბილისის მერმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან და კულტურის მინისტრ თინათინ რუხაძესთან ერთად გახსნა.**



დედაქალაქის მერმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება ეროვნული სასახლის მნიშვნელობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მომავალი თაობები უკვე განახლებულ შენობაში მიიღებენ ცოდნასა და განათლებას.

**„ამ ულამაზეს შენობას, რომლის ისტორიაც მე-19 საუკუნიდან იწყება, ბევრი რამ ახსოვს. იგი ჩვენი ისტორიის არაერთ საინტერესო ფურცელს ინახავს. სასახლის არქიტექტურა ბევრჯერ შეიცვალა. ცნობილი ქართველი მებაღის, მიხეილ მამულაშვილის მიერ გაშენებულმა სასახლის ბაღმაც სახე იცვალა. შეიცვალა დედაქალაქიც სასახლის გარშემო, თუმცა უცვლელი დარჩა ის ემოცია, რაც უამრავ ადამიანს აკავშირებს ამ კედლებთან – სიხარულის, ბედნიერების შეგრძნება, მუსიკასთან, ფერთან, პოეზიასთან ზიარების განცდა, პირველი ნაბიჯები სცენაზე, მეცნიერებაში მიღწეული გამარჯვებები. განახლებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე კვლავ სიხარულით უღებს კარს ჩვენს პატარებს. შეუძლებელია აქ არ ახდეს მათი ოცნებები, მათი ნატვრა, რადგან ამ ულამაზეს და მართლაც ჯადოსნურ სამყაროს სასახლესა და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები ემსახურებიან. მე, როგორც თბილისის მერი და ოთხი შვილის მამა, დღეს ვარ ბედნიერი ადამიანი, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი წვლილი შემეტანა სასახლისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაში",** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში, სასახლე სრულად განახლდა. რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ ავეჯს, აღდგა იატაკი და ჭერი.

**„აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ ტექნიკური მონაცემების მიღმა უამრავი ადამიანის შრომა დგას, რომლებმაც სიყვარულით, ერთგულებით და პროფესიონალიზმით შეასრულეს საკუთარი საქმე. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მოადგილეებს – ანდრია ბასილაიასა და ირაკლი ბენდელიანს, თბილისის განვითარების ფონდს, თითოეულ თანამშრომელს. მინდა, ასევე მადლობა გადავუხადო კულტურის მინისტრ თინათინ რუხაძეს, რომელიც იმჟამად სასახლის ხელმძღვანელი გახლდათ და ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს სამუშაოების წარმოებაში. მადლობა სასახლის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას. მინდა, მივმართო ჩვენს პატარა მეგობრებს, დღეს სასახლეში თქვენი ნაბიჯების ხმა ისმის. მინდა, ვისურვო, რომ ეს ნაბიჯები იყოს ისეთი მტკიცე და წარმატებული, რომ მთელმა მსოფლიომ გაიგონოს მათი ხმა",** – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

პროექტის ფარგლებში, სრულად რეაბილიტირდა საინჟინრო ქსელები, გაძლიერდა შენობის ფუძე-საძირკველი, კონსტრუქციულად გამაგრდა ძირითადი და დამხმარე ნაგებობები, ჩატარდა ფასადის რესტავრაცია, შეიცვალა სახურავის, ბურულისა და წვიმასატარი სისტემები, განახლდა ბაღის ისტორიული ღობე და ჭედური ჭიშკარი. გარდა ამისა, ჩატარდა მხატვრულ-დეკორატიული დარბაზების კონსერვაცია-რესტავრაცია, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო ე.წ. სარკეებიან დარბაზში აღდგა კარები და დარაბები.

**რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა XIX საუკუნის შუა წლებშია აგებული. სასახლე გამოირჩევა ისეთი უნიკალური არქიტექტურული სივრცეებით, როგორებიცაა: ე.წ. სარკეებიანი დარბაზი, მარმარილოს დარბაზი და თეთრი დარბაზი. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელიც 4 500-მდე მოსწავლეს აერთიანებს. თბილისის განვითარების ფონდმა სასახლის რეაბილიტაცია 2020 წელს დაიწყო. პროექტის საერთო ღირებულებამ კი 56 428 251 ლარი შეადგინა.**






**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, კულტურის მინისტრ თინათინ რუხაძესთან ერთად, მცხეთის მუზეუმი დაათვალიერა.**



# მცხეთის მუზეუმის ახალი კონცეფცია

**მთავრობის მეთაურს** მუზეუმის ახალი კონცეფცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ** გააცნო.

**კონცეფციის გათვალისწინებით, მუზეუმში გამოფენილია ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, ციფრული ფორმით წარმოდგენილია ქრისტიანული პერიოდის ნიმუშები, მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებული საარქივო მასალა.**

ამ ეტაპზე, კონცეფციის შესაბამისად, მიმდინარეობს მუზეუმის სისტემების გამართვა, ფონდებზე მუშაობა, მუზეუმის პერსონალის შერჩევა.

**მცხეთის მუზეუმის შემადგენლობაში გაერთიანდა არმაზისა და ქსნის არქეოლოგიური ბაზები, სადაც დაცულია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მუზეუმში მოწყობილია ველზე მოპოვებული მასალის დამუშავებისა და რესტავრაცია-კონსერვაციისთვის საჭირო ლაბორატორია.**



საგამოფენო სივრცეებს ეტაპობრივად დაემატება ეროვნული მუზეუმის ფონდებში მცხეთის შესახებ არსებული მასალები.

**მცხეთის მუზეუმში პრემიერ-მინისტრი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.**

# მთავარი პრიორიტეტი – კულტურა, განათლება, სპორტი

**პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა, დედაქალაქის მოქმედმა მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი პროექტები წარუდგინა.**

კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას ახალგაზრდებს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

**„გულწრფელი მადლობა უნდა გადაგიხადოთ წლების განმავლობაში გამოხატული მხარდაჭერისა და ნდობისთვის. მინდა, იცოდეთ, რომ თქვენთან ერთად გავლილი ეს წლები, დედაქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში თქვენი ჩართულობა, ყოველი შეხვედრა, ყოველი გზავნილი სოციალური ქსელით, თქვენი მოსაზრებების გაზიარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ამ მადლიერებას ჩვენ ყოველთვის გამოვხატავთ ანგარიშვალდებულებით, ღიაობით, სამომავლო ნაბიჯების გაცნობით. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ თქვენ წინაშე, ვიყოთ გულწრფელები და ვისაუბროთ არა მხოლოდ გაკეთებულ საქმეებზე, არამედ სამომავლო გეგმებზე, არსებულ გამოწვევებზე, რომელთა გადასაჭრელად გვაქვს კონკრეტული ხედვა“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.




მისივე განცხადებით, ყველაფერს, მათ შორის კულტურას, სჭირდება მხარდაჭერა, წახალისება, რასაც თბილისის მუნიციპალიტეტი კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა თბილისის მერიისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია, ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება კი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

**„კარგად იცით, ჩემთვის რამდენად პრიორიტეტულია სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ბოლო წლების განმავლობაში უდიდესი ძალისხმევა გავწიეთ იმისთვის, რომ ყველა უბანში, ყველა რაიონში ხელმისაწვდომი ყოფილიყო თბილისელებისთვის სპორტული მოედნები და ინფრასტრუქტურა.**

**ყველა დაწყებული პროგრამა გაგრძელდება და გაფართოვდება, უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცემა განათლების მიღების შესაძლებლობა, კიდევ მეტი მხარდაჭერა ექნება კულტურის სფეროს, გაგრძელდება ახალი პროფესიების დაუფლებისა და დასაქმების ხელშეწყობა. გვიგულეთ თქვენ გვერდით, არ დავიღლებით თქვენს სამსახურში“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

თბილისის მერმა აქვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მადლობა გადაუხადა, რადგან მათი ჩართულობით დედაქალაქში არაერთი საფეხბურთო სკოლა აშენდა.



# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილარია!

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გივი მიქანაძემ რაბათის ციხეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**

მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და რეგიონის მასშტაბით მომავალი თაობების აღზრდის საქმეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლზე გაამახვილა ყურადღება.

ღონისძიების ფარგლებში მინისტრმა ახალციხის სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგები დააჯილდოვა და მათ მადლობა გადაუხადა მრავალწლიანი შრომისა და პროფესიისადმი ერთგულებისთვის.

უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რაბათის ციხეში ასევე ჩატარდა მეცნიერების ფესტივალი, რომელიც რეგიონებში მეცნიერების პოპულარიზაციის, ახალგაზრდების წახალისების, კერძო საჯარო პარტნიორობის ხელშეწყობისა და ინოვაციური იდეების გაძლიერების მიზნით 17 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკა
ჟურნალისტის თვალსაწიერი
№130. ოთხშაბათი, 24 სექტემბერი, 2025 წელი

**მსოფლიო ისტორიის გადაწერის ტენდენცია არახალია, ანუ ხშირად ესა თუ ის ერი ისე წარმოაჩენს ხოლმე ზოგ ისტორიულ მოვლენას, როგორც ეს მის ინტერესებშია. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა გაავრცელა აზრი, რომ ნაცისტური გერმანია მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით დაამარცხა. რუსეთი დღემდე ცდილობს ამ საქმეში სხვა, ყოფილი საბჭოთა ხალხების ღვაწლის დაკნინებას. ამ დროს, ომში ყველაზე მძიმედ უკრაინა და ბელორუსია დაზარალდნენ. საქართველომ კი, პროცენტულად, თავისი მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა დაკარგა ბრძოლის ველზე.**



**1943 წლის 30 ნოემბერს, თეირანის ცნობილ კონფერენციაზე, უინსტონ ჩერჩილის დაბადების დღის აღსანიშნავ საზეიმო სადილზე, სტალინმა თქვა, ლენდ ლიზით მიღებული მანქანების გარეშე, ჩვენ ამ ომს წავაგებდითო. მარშალმა ჟუკოვმა კი, ასეთი რამ თქვა: ამბობენ, მოკავშირეები არ დაგვხმარებიანო, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ამერიკელები გვიგზავნიდნენ მასალას, რომლის გარეშე, ვერ შევძლებდით რეზერვების ფორმირებასა და ომის გაგრძელებას. განა, ჩვენ მოვახერხებდით ტანკების წარმოების აწყობას ამერიკული ფოლადის გარეშე? ახლა კი, საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს, ეს ყველაფერი ჩვენი საკუთარი გვქონდა და, თან, თავზესაყრელად...**

# დაეხმარა თუ არა ამერიკა სტალინს ფაშიზმის დამარცხებაში?

არსებობდა აზრი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა კავშირს მოკავშირეები ბევრით არაფრით დახმარებიან. იმ ცნობილ ამერიკულ ლენდ ლიზსაც იშვიათად და მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებენ რუსი ისტორიკოსები. არადა, ლენდ ლიზმა უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირს მტერთან გამკლავებაში. ინგლისური ტერმინი **Land-Lease**, სიტყვა სიტყვით, მიწის იჯარით გაცემას ნიშნავს. ამერიკული ინიციატივა „ლენდ ლიზი" კი, იყო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს ნებას აძლევდა, შეღავათიანი, უპროცენტო სესხის სახით, გაეცა იარაღი, სურსათი, სამედიცინო ტექნიკა და სხვა დანიშნულების საგნები ნებისმიერი ერისთვის, რომელიც შეერთებული შტატების თავდაცვას უწყობდა ხელს. მიმღები ქვეყანა ვალდებული იყო, ომის დამთავრების შემდეგ, გადარჩენილი აღჭურვილობა უკან დაებრუნებინა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, ამერიკა ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. მაშინ ამერიკაში ჯერ კიდევ მძლავრობდა ჯორჯ ვაშინგტონისდროინდელი იზოლაციონისტური იდეები. ამერიკელ ხალხსაც და პოლიტიკოსებსაც მიაჩნდათ, რომ ომი ევროპაში მათ ქვეყანას არ ეხებოდა. პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი არ იზიარებდა ამ აზრსა და განწყობას, არწმუნებდა რა კონგრესს, რომ ამერიკა ამ ომში განზე ვერ დადგებოდა. ბოლოს და ბოლოს, რუზველტმა კონგრესი დაითანხმა, და 1940 წლის მაისის თვეში, ლენდ ლიზი ამუშავდა, ოღონდ, მხოლოდ დიდი ბრიტანეთისთვის. 1941 წლის 22 ივნისს ნაცისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, რომელმაც ომის პირველივე დღეებიდანვე მილიონობით ადამიანი და დიდი ტერიტორია დაკარგა. მხოლოდ 1941 წელს ორ მილიონამდე საბჭოთა სამხედრო ჩავარდა ტყვედ. საბჭოთა მთავრობამ მოსკოვიდან ქალაქ კუიბიშევში გადასვლა გადაწყვიტა. გაჩნდა შეგრძნება, რომ დახმარების გარეშე, საბჭოთა კავშირი მტერს ვერ შეაჩერებდა. წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სტალინის ომამდელი რეპრესიები სახელდება: ძლიერი და ნიჭიერი საბჭოთა გენერლები და მარშლები, ზოგი დაჭერილი და ზოგი დახვრეტილი იყო. გარდა ამისა, საბჭოთა არმიას თანამედროვე სამხედრო ტექნიკაც აკლდა. ომი რომ დაიწყო, ჯარისკაცების დიდი ნაწილი ავტომატებით კი არა, თოფებით იყო შეიარაღებული. წარმოიდგინეთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფმა საბჭოთა კავშირმა ამერიკას სთხოვა დახმარება. რუზველტი და ჩერჩილი მზად აღმოჩნდნენ დახმარების გასაწევად, მაგრამ ამერიკის კონგრესი იდგა უარზე. კონგრესის აზრით, ჰიტლერის ძველ მოკავშირეს, საბჭოთა კავშირს, ამერიკა არ უნდა დახმარებოდა.

სანამ ამერიკის პრეზიდენტი კონგრესს დაითანხმებდა, ამერიკა საბჭოთა კავშირს საიდუმლოდ უგზავნიდა დახმარებას, რომელიც, ოფიციალურად, დიდი ბრიტანეთისთვის გამოყოფილ დახმარებად იყო გაფორმებული. ამიტომ, ტვირთები ამერიკიდან, ჯერ, ინგლისში ჩადიოდა და მერე იგზავნებოდა საბჭოთა კავშირში. 1942 წელს, ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად გააფორმეს ლენდ ლიზის ხელშეკრულება, რამაც საგრძნობლად გაადვილა საბჭოთა კავშირისთვის ტვირთების მიწოდება.

ამერიკამ საბჭოთა კავშირს, ჯამში, 11,3 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი და აღჭურვილობა მიაწოდა, რაც დღევანდელი კურსით 220 მილიარდს აღემატება. საბჭოთა კავშირმა ამერიკისგან 13 ათასი ტანკი, 14 ათასი თვითმფრინავი, 400 ათასი ჯიპი და სატვირთო მანქანა, 8 ათასი ტრაქტორი და მილიონობით სამხედრო ტანსაცმელი, სამედიცინო აღჭურვილობა და წამალი მიიღო. სარაკეტო დანადგარი „კატიუშა", რომელმაც ომის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა, ამერიკულ მანქანა სტუდებეკერზე იყო განთავსებული. ომი რომ მთავრდებოდა, თითქმის მთელი საბჭოთა არმია ამერიკული ჯიპებით, ეგრეთ წოდებული **Willis**-ებით, გადაადგილდებოდა და ამერიკული თვითმფრინავებით დაფრინავდა.

უბრალო საბჭოთა ჯარისკაცი ყოველთვის თბილად იხსენებდა ამერიკულ სამხედრო ტანსაცმელს და ამერიკულ საჭმელს, რომელშიც ყავა და შოკოლადი შედიოდა. რა თქმა უნდა, ლენდ ლიზი, ამერიკის მხრიდან, ქველმოქმედება არ იყო. ლენდ ლიზი, იმდროინდელი ამერიკული რბილი ძალა გახლდათ, რომლის გამოყენებით, ამერიკამ ომის დასაწყისში, თავიდან აიცილა ევროპაში ჯარების გაგზავნა, რითაც ასეულ ათასობით ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინა. ლენდ ლიზმა, ასევე, მნიშვნელოვნად გაზარდა ამერიკული წარმოება და შეამცირა უმუშევართა რიცხვი. დაბოლოს, ლენდ ლიზის წყალობით, ამერიკა მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქვეყნად იქცა, რადგან მისი ვალი თითქმის ნახევარ მსოფლიოს ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ლენდ ლიზმა დიდი როლი ითამაშა ნაცისტური გერმანიის დამარცხებაში, რასაც საბჭოთა ხელმძღვანელობაც კი ვერ უარყოფდა.

ლენდ ლიზის პროგრამა, ოფიციალურად, 1945 წლის 21აგვისტოს დასრულდა. ამერიკამ დაიანგარიშა მის მიერ გაწეული დახმარება და ყველა ქვეყანას საგადასახადო შეტყობინება გაუგზავნა. თავდაპირველად, საბჭოთა კავშირს ორი მილიარდ 600 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ საბჭოთა კავშირმა უარყო ეს ციფრი. 1948 წლის მოლაპარაკების შედეგად, ამერიკელებმა ეს ციფრი გაანახევრეს და 30 წლის განმავლობაში მოითხოვეს ფულის დაბრუნება. საბჭოთა კავშირმა ამაზეც უარი თქვა. ცივი ომის დროს, საბჭოთა კავშირმა ლენდ ლიზის მნიშვნელობის დაკნინება დაიწყო. 1990 წელს მიხეილ გორბაჩოვისა და ჯორჯ ბუშის მოლაპარაკების შედეგად, საბოლოოდ გადაწყდა, რომ რუსეთი მხოლოდ 674 მილიონ დოლარს გადაიხდიდა, რომლის დაფარვის ვადა 2030 წელს იწურებოდა, თუმცა, რუსეთმა, ვალის ხელსაყრელი რესტრუქტურიზაციის მიზნით, 2006 წელს ვალი მთლიანად დაფარა. **ასე დამთავრდა ლენდ ლიზის პროგრამა და წერტილი დაესვა ლენდ ლიზის პრობლემას...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

---

## ბრიუსელი VS მოსკოვი:

# იპოვე ათი განსხვავება




(მესამე გვერდიდან)

დღეს „ევროსაბჭოთა კავშირშიც" იგრძნობა მსგავსი სინდრომი: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის ეკონომიკური პოლარიზაცია, ენერგეტიკული კრიზისი რუსეთის გაზის დაკარგვის შემდეგ, ინდუსტრიალიზაციის შემცირება აზიის კონკურენციის ფონზე, მიგრაციული დატვირთვა სოციალური სისტემებისთვის. თუ საბჭოთა კავშირში კრიზისი შიდა სისტემურ მოდელს უკავშირდებოდა, ბრიუსელის პრობლემას კიდევ უფრო აძლიერებს ერთიანი ეკონომიკური ფილოსოფიის არარსებობა.

ვერ შედგა ასევე „ახალი საბჭოთა ადამიანის" შექმნის მცდელობა: ეროვნულმა მოძრაობებმა ბალტიისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მოიკრიბა ძალა, ფარულად გადარჩა რელიგიური და კულტურული პრაქტიკები. დღეს „ევროსაბჭოთა კავშირშიც" ვხედავთ მსგავს პროცესს: პოლონეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი ღიად უპირისპირდებიან ბრიუსელს, იცავენ ქრისტიანულ ღირებულებებს; იტალია და საფრანგეთი მკაცრ მიგრაციულ შეზღუდვებს განიხილავენ; პოპულარობას იძენენ ევროსკეპტიკური პარტიები – მარინ ლე პენი, **AfD**, **Vox** და ა.შ. ეს არის ხალხის ინსტინქტური რეაქცია „ახალი იდენტობის" – მულტიკულტურალიზმისა და ლიბერალური ექსპერიმენტების თავს მოხვევაზე.

როგორც საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაცია მოხდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" სახით, სავსებით შესაძლებელია „ევროსაბჭოთა კავშირის" გარდაქმნა „ერების ევროპად", რაც გამოიწვევს: სუვერენიტეტის დაბრუნებას წევრი ქვეყნებისთვის, ბრიუსელი მოირგებს მხოლოდ კოორდინატორის და არა ზეხელისუფლების როლს; ჩატარდება შენგენის, საბიუჯეტო და მიგრაციული პოლიტიკის რეფორმები. გარდაუვალი გახდება ახალ წარმონაქმნში ბირთვისა და პერიფერიის გამიჯვნა: გერმანია, საფრანგეთი და ბენილუქსი შექმნიან „მჭიდროდ ინტეგრირებულ ბირთვს", ხოლო დანარჩენები გახდებიან „ასოცირებული პარტნიორები", მეტი ავტონომიით. ასე რომ, გარდაუვალია და მხოლოდ დროის ფაქტორია დღევანდელი ევროსაბჭოთა კავშირის ფედერალიზაცია ან დაშლა.

**ლიბერალური ელიტები კი აგრძელებენ მომაკვდავი „პაციენტის" გადარჩენას, მაგრამ ეს მხოლოდ გაზრდის სეპარატიზმისა და ორგანიზაციიდან გამოსვლის ტენდენციებს (Brexit-ის მსგავსი). „ევროსაბჭოთა კავშირი", ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი, გადადის სისტემური კრიზისის ფაზაში. თუმცა, განსხვავებით CCCP-ისგან, ბრიუსელს უფრო მეტად ემუქრება არა სწრაფი კოლაფსი, არამედ ტრანსფორმაცია.**

**ევროპის გარდაუვალი მომავალი უკავშირდება: ეროვნულ სუვერენიტეტებს, ტრადიციული ღირებულებების დაბრუნებას, კულტურული იდენტობების გაძლიერებას, პრაგმატულ თანამშრომლობას იდეოლოგიური იძულების გარეშე. საქართველოში, ჩვენ სწორედ ასეთ ევროპას ვქომაგობთ, მოთმინებით ვაკვირდებით მოვლენებს და არსად გვეჩქარება, მათ შორის „ტიტანიკზე" ბილეთების შეძენის სახით...**

**დავით ქართველიშვილი**



# მილოცვა

## ვახტანგ ვეფხვაძეს!

**თბილისობის წლევანდელ დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება უღირსეულეს 30 ქართველს მიენიჭა.**

მათ შორის იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი, ერთგული მკითხველი და მუდამ გვერდში მდგომი ადამიანი, უსაყვარლესი მეგობარი და ლიდერი **ვლადიმერ (ვახტანგ) ვეფხვაძე**, რომლის მხარდაჭერით ბოლო წლებში დიდი ქართველი კალმოსნების – აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი უნიკალური წიგნები გამოიცა.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს საპატიო თბილისელის წოდებას, კვლავაც წარმატებულ სამეწარმეო და სამეცენატო მოღვაწეობასა და კეთილდღეობას უსურვებს. მხნედ, ქართული კულტურის და დედაქალაქის აღიარებულო კოლორიტო!**




# ქართული ჟურნალისტიკის რაინდი არჩილ გოგელია საპატიო თბილისელია

**ცივ სპორტულ დარბაზში, საფარიკაო ბილიკთან გამხდარი, გრუზათმიანი, თვალებგრიალა ბიჭი დგას. იგი ნაჭრის ჩანთიდან ჯადოსნური კვერთხის ამოღებაზე ოცნებობს. იცის, ოდესმე უთუოდ აიხდენს ოცნებას, მაგრამ ჯერ ბევრი უნდა იშრომოს, ბევრი უნდა ისწავლოს, ბევრი უნდა მოითმინოს.**

ჯერ მხოლოდ ციცაბო ბილიკის დასაწყისში დგას.

ეს ვერელი ბიჭი, ხელში რაინდის ხმალი რომ ჩაუბღუჯავს, გაქუცულ ნაჭრის ჩანთაში მუზარადი რომ უდევს და ვერცხლისფრად მოელვარე საფარიკაო ბილიკს ფიქრიანად გაჰყურებს, დიდი ომის ჭირვარამგადამტანი, ნაადრევად დაკაცებული აჩიკო გოგელიაა; მისი უპირველესი დამრიგებლები და მასწავლებლები კი – ოთხი უმამოდ დარჩენილი შვილის გამზრდელი, ბრძენი და გაუტეხელი, ყველა ობოლი ვერელი ბიჭის სათნო და მოსიყვარულე „დედა-ნინა“; უფროსი ძმები, ცნობილი მოფარიკავეები გოგი და კოტე გოგელიები; წიგნები და კიდევ ვერა, თბილისის მეამბოხე და ინტელექტუალური უბანი...

სამოციანი წლების ბოლოს, როცა „ლელოში“ არჩილის პირველი წერილები გამოქვეყნდა, მივხვდით, რომ რაღაც შეიცვალა, რუტინული საბჭოთა ჟურნალისტიკის მტკიცე ორგანიზმში ბზარი გაჩნდა.

უცნობი ახალგაზრდა უპარტიო ჟურნალისტი სტრიქონებს შორის კი არა, სათქმელს პირდაპირ ამბობდა: „ქართული სპორტიო“, „ქართული სულიო“, ქართული მოღვაწეო“, საქართველოს მომავალიო“, „საქართველოო“...

სიტყვა „საბჭოთას“ უგულებელყოფა, საგნებისა და მოვლენების თავისი სახელების ხსენება იმ დროისთვის უდიდეს მკრეხელობად, კომუნიზმის მშენებელი დიადი საბჭოეთის წინაშე უმძიმეს დანაშაულად ითვლება.

არჩილმა გაბედა, თანაც – კომუნისტურ პრესაში!

ერთ მშვენიერ დღეს სასწაული მოხდა – იმ დროისთვის საკმაოდ პოპულარული სპორტული გაზეთი „ლელო“ „სხვანაირი“ გამოვიდა. სადღაც უკვალოდ გამქრალიყო ყველა გაზეთისთვის სავალდებულო პარტიული და საბჭოთა ინფორმაციები, დადგენილებები და ბელადების პორტრეტები, უაზრო ცხრილები და სტატისტიკური მონაცემები, თვით საბჭოთა პრესისთვის დამახასიათებელი საგაზეთო დიზაინიც კი! მათ ადგილას ანალიტიკური სპორტული წერილები, გამოჩენილ ქართველ სპორტსმენთა პორტრეტები, უცხოური სპორტული ცხოვრების ამსახველი მასალები, საინტერესო ინტერვიუები კეკლუცობდა.

ამ გაზეთის რედაქტორი იყო არჩილ გოგელია, ვისაც თვით ცეკას ყოვლისშემძლე მდივნებიც კი ანგარიშს უწევდნენ. უფრო ზუსტად, იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ, რადგან მანამდე არჩილ გოგელიამ, როგორც რედაქტორმა, თითქმის არარაობიდან შექმნა შემეცნებით-საგანმანათლებლო ჟურნალების სერია „სკოლა და ცხოვრება“ და XXI საუკუნის საქართველოსთვისაც კი საოცნებო ჟურნალი „მართვე“.

არჩილ გოგელიას რედაქტორობისას გაზეთ „თბილისის“ ტირაჟი 50-იდან ერთბაშად 450 ათასამდე გაიზარდა.

1990 წლის 1 ივნისს გამოვიდა ერთ-ერთი პირველი ქართული დამოუკიდებელი ყოველკვირეული გაზეთი „დრონი“, რომლის დამფუძნებელი და რედაქტორი არჩილ გოგელია იყო. ძალიან მოკლე დროში იგი უპოპულარეს გამოცემად იქცა. თავისი მოზომილი, მაგრამ მძაფრი პოზიციით „დრონმა“ შეძლო ირგვლივ შემოეკრიბა თითქმის მთელი იმჟამინდელი ინტელექტუალური ძალები და დაეწყო გონებრივი შტურმი არსებული პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგ. არ ვაჭარბებ –



„დრონმა“ არჩილ გოგელიას მეთაურობით განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს უახლეს ისტორიაში და, რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაშიც.

ერთი შეხედვით მრისხანე და მუდამ საომრად შემართული არჩილ გოგელია კომპრომისების დიდოსტატია. მან იცის, როგორ დათმოს მცირე დიდის შესანარჩუნებლად, იცის ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენა და, საერთოდ, ნიჭის დაფასება. თავად მრავლისმნახველი, მრავალ ჭირვარამგამოვლილი და უაღრესად შრომისმოყვარე ერთდროულად მომთხოვნიცაა, ცოტა ჭირვეულიც და დიდად მიმტევებელიც.

იგი არ იცნობს XXI საუკუნის საქართველოსთვის მოდური „ჩემი გუნდის“ პრინციპს. წარმატების მისაღწევად მას სხვა პრინციპები აქვს, გაცილებით უფრო კორექტული და ეფექტური: ხელმძღვანელმა თვითონ უნდა დაინახოს (ხშირად, აღმოაჩინოს კიდეც) ხელქვეითის შესაძლებლობები; დაავალოს ის, რისი გაკეთებაც მას შეუძლია და სურს; შეუძლია გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შერწყმა ახალგაზრდულ ენთუზიაზმთან; შეუძლია გაერთიანება და ლიდერობა იმ გუნდისა, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ მოღვაწეობენ აბსოლუტურად სხვადასხვა ასაკის, მრწამსის, ნიჭისა და შესაძლებლობის ადამიანები; შეუძლია მოთმენა, განსაკუთრებით, თუ საქმე ნიჭიერ ადამიანებს ეხებათ. მისი გულთბილობა და გულწრფელობა გადამდებია.

ალბათ, ეს უნდა იყოს არჩილ გოგელიას ბრწყინვალე და ხანგრძლივი ჟურნალისტური კარიერის საიდუმლო.

თუმცა, შემეძლო უფრო მოკლედაც მეთქვა – არჩილ გოგელია, უბრალოდ, თვითონაა უაღრესად ნიჭიერი კაცი და ეს შესანიშნავად ჩანს მთელი მისი მოღვაწეობიდან.

არჩილ გოგელიას „ბილიკის“ (არჩილის 2015 წელს გამოცემული სტატიების კრებული) გამვლელი მომავლის თაობა გაიგებს, რომ სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ბორის პაიჭაძე ქართული ფეხბურთისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე დიდი, თუნდაც, გენიალური ფეხბურთელი. გაიგებს, რომ ამ კაცმა, ბორის პაიჭაძემ საფუძველი დაუდო იმ მიმდინარეობას, რასაც მრავალი წელია „ქართული ფეხბურთი“ ჰქვია.

არჩილ გოგელიას კალმით დახატული გივი კარტოზია, მიშა მესხი, რუსუდან სიხარულიძე, ნელი სალაძე, ვოვა რუბაშვილი, ვიქტორ სანეევი და მრავალი სხვა, მკითხველის წინაშე წარმოდგებიან არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი სპორტსმენები, არამედ, როგორც ხელოვნების მოღვაწეები. იგი ისე ხატავს, ვთქვათ, ტანმოვარჯიშე ნელი სალაძეს, როგორც დახატავდა ნინო ანანიაშვილს ან ჯანსუღ კახიძეს.

„ბილიკზე“ მდგარნი, იმასაც გაიგებენ, თურმე, რამდენი გაუკეთებიათ ქართული სპორტისთვის უსამართლოდ მივიწყებულ სარქის სარხოიანს თუ რაფიელ ჩიმიშკიანს...

ჯერ ახალგაზრდა, მერე მოწიფული არჩილ გოგელია ყველგან და ყოველთვის ლაპარაკობს არა, უბრალოდ, სპორტზე, არამედ სწორედ ქართულ, ეროვნულ სპორტზე, ქართულ ტრადიციებზე, ქართული სპორტის სატკივარზე, ქართველი ერის აწმყოსა და მომავლისთვის, ჯანსაღი თაობების აღზრდისთვის სპორტის მნიშვნელობაზე...

ამიტომაც არის „ბილიკი“ ასე მნიშვნელოვანი დღევანდელობისათვის და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მომავალი თაობებისთვის.

„ბილიკის“ მკითხველს უთუოდ მოხიბლავს თხრობის ავტორისეული ლაღი, სუფთა, ოდნავ, სულ ოდნავ სტილიზებული მანერა. როგორც თვითონ არჩილი ხუმრობს ხოლმე, აზრების წერილობით გადმოცემა ძალიან ადვილია: უნდა ჩასვა საჭირო სიტყვები საჭირო ადგილას და... უნდა გქონდეს აზრი.

ვერ დავიკვეხნი, არჩილ გოგელიას, ქართული ჟურნალისტიკის რაინდს, ხუთი თითივით ვიცნობ-მეთქი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ განგებამ მასთან საკმაოდ ხანგრძლივი თანამშრომლობის შესაძლებლობა მომცა. როგორც ბევრმა სხვამ, მისგან მეც ბევრი რამ ვისწავლე – რა თქმა უნდა, მხოლოდ ჟურნალისტიკას არ ვგულისხმობ. ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო მისი ამ წიგნის რედაქტორი.

ოდესმე, მრავალი ათეული წლის შემდეგ, წაკითხულით გულშეძრული ახალგაზრდა ქართველი სინანულით დახურავს ამ წიგნს, გულწრფელ მადლობას შეუთვლის მის ავტორს, ვინც საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი გადაუშალა...

* * *

**სპორტულ დარბაზში ისევ ვერცხლისფრად ელვარებს მუხანათი და მიმზიდველი ბილიკი, არჩილ გოგელიას ოდესღაც რომ გაუვლია.**

**ვიცი. იგი ისევ თავიდან, ათასმეერთედ შეუდგება ათასჯერ განვლილ ციცაბოს, რადგან მასში ახლაც მწვერვალების დაპყრობაზე მეოცნებე ბიჭი ცხოვრობს. მერე რა, რომ რა ხანია ჭაღარა შეეპარა – იგი ის კაცია, ვინც ბასრ მახვილს ჟანგის შესაჭმელად ვერასოდეს გაიმეტებს.**

**არჩილ გოგელია ხომ ამქვეყნად შექმნისთვის, სიკეთისთვის, ბრძოლისთვის გაჩნდა.**

**თეიმურაზ ქორიძე.**



# პირველი ნაბიჯი

**საჩემპიონო ქამარს სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნუგზარ წურწუმიას საფლავზე მივიტან და მის სულს გავახარებო – პლანეტის უმაღლესი ტიტულის მოპოვებისთანავე განაცხადა 18 წლის ხოზელმა ფალავანმა ვახტანგ ლოლუამ (დაიბადა 2007 წლის 10 მაისს) და ასე გამოხატა პატივისცემა უდროოდ დაღუპული სასახელო თანამემამულის ხსოვნისადმი.**

**სეზონის აღმოჩენას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ გამთენიისას ზღვა ხალხმა მოუწყო საზეიმო დახვედრა მეღუდუკეთა დასტის თანხლებით, მათ შორის, ბუნებრივია, ბედნიერმა დედამ, რომელსაც პირველს ამცნო საკუთარი მიღწევის შესახებ ხორვატეთიდან ჯერაც ოფლში გახვითქულმა საამაყო შვილმა.**

**ეს დიდი გზის მხოლოდ დასაწყისია. გვწამს, ხანგრძლივი ტრიუმფალური კარიერის განმავლობაში კოლხ ვაჟკაცს კიდევ ბევრჯერ მივაგებთ მსგავს პატივს!**

# დიდებული მონაგარი



**ქართული სპორტისთვის ისტორიული შეიძლება ეწოდოს ბათუმში გამართულ 11-19 წლის მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ახალგაზრდული თასის გათამაშებას, სადაც მასპინძელთა ყულაბაში ბოლო დღეს ვერცხლი 11 წლის ელენე ქოზალიამ ჩააჩხრიალა.**

მან ჯგუფურ ეტაპზე მიღწეული წარმატების შემდეგ ნახევარფინალში ყაზახ ბოლატბეკს 3:0 სძლია, მაგრამ სატიტულო ბრძოლა აზერბაიჯანელ მირზაბალიევასთან ასეთივე შედეგით დათმო, თუმცა შარშანდელი მე-3 ადგილი მაინც გააუმჯობესა და ჯვაროსანთა დელეგაციას მე-2 მედალი შესძინა.

როგორც უკვე გაუწყეთ, 17-წლამდელთა ტურნირში ბრინჯაო ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონს, 15-წლამდელთა შორის 2023 წლის თანატოლთა მსოფლიოს ახალგაზრდული სერიის გამარჯვებულს, 19-წლამდელთა რიგის შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის ოქროს მფლობელს შერეულ წყვილებში **ანასტასია ჩხარტიშვილს** ხვდა წილად (კლუბი დიოსკურია, მწვრთნელი – **კახაბერ ჩხარტიშვილი**).

აღსანიშნავია, რომ მან კარიერა 5 წლის წინათ დაიწყო და განახლებული საერთაშორისო რეიტინგის უკვე საპატიო 84-ე ნომერია, ხოლო ევროპულ კლასიფიკაციაში მე-20 პოზიციამდე აღზევდა!

დავძენთ, რომ ზღვისპირეთში ანასტასიამ ჯგუფურ ეტაპზე დაუმარცხებლად დაიკავა პირველი ადგილი ბულგარელ, 2 ბელარუს და ისრაელელ მეტოქეთა ძლევით, ნახევარფინალში ინდოელ ფავორიტთან მარცხის შემდეგ კი მედლისთვის ბრძოლა დებულებით აღარც დასჭირვებია.

# მსუყე უქმეები

**ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში ქართველმა ხელბურთელებმა მორიგი მატჩები გამართეს. გთავაზობთ მათ მონაგარს.**



**რუმინეთის** ჩემპიონატში „ტურდამ“ საკუთარ მოედანზე „კლუჟი“ 35:32 დაამარცხა, რაშიც თავისი წვლილი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ირაკლი კბილაშვილმა** შეიტანა, რომელმაც 6 გოლი გაიტანა და 1 ასისტი მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღით ადრე **ხაზეინ რუსტამოვმა** სამი გოლი გაიტანა „კონსტანტას“ შემადგენლობაში – მისი გუნდი „ბაია მარეს“ დაუზავდა – 25:25.

**საფრანგეთის** ჩემპიონატში **ნიკოლოზ კალანდაძის** „პროვანს ექსი“ 25:31 დამარცხდა „რენთან“. კალანდაძემ მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა – 4 გოლი, 7 ასისტი.

„ტრემბლმა“ შინ „დიჟონს“ 34:25 მოუგო. **ერეკლე არსენაშვილის** ანგარიშზე 3 გოლია.

**ხორვატეთის** ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო „ზაგრებმა“, რომელმაც „ჩაკოვაცს“ 36:24 სძლია და რეგულარული ჩემპიონატის A ჯგუფის ლიდერია. **გიორგი ცხოვრებაძემ** თავი 4 გოლითა და 1 ასისტით გამოიჩინა.

**გერმანიის** რეგიონალლიგაში „ლუბენაუ“ საკუთარ მოედანზე 26:31 დამარცხდა „ვორპომერნთან“. მასპინძელთაგან თითო გოლი **ირაკლი დიხამინჯიამ** და **აკაკი პატაშურმა** გაიტანეს.

**პოლონეთის** ჩემპიონატში „ოსტორვიამ“ შინ „პიოტრკოვიანს“ 35:29 მოუგო. მასპინძელთა რიგებში **მირიან გავაშელიშვილმა** ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა.



# საუკუნეთა კრიალოსანი

**დაუვიწყარი ევრობასკეტის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა ქართველ კალათბურთელთა სტატისტიკურ მონაცემებში, რომელიც სტარტს 1947 წელს ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას ტრიუმფიდან იღებს. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ თანამემამულეთა 2 საუკუნის მონაგარი.**

**მატჩები:** ო. ქორქია-საკანდელიძე-შერმადინი, ცინცაძე, შენგელია-სანაძე, მარკოიშვილი, ბურჯანაძე, მ. ქორქია, სანიკიძე, ფაჩულია.

**ქულები:** ო. ქორქია, შენგელია, შერმადინი, მარკოიშვილი, სანაძე, სანიკიძე, ფაჩულია, საკანდელიძე, მამუკელაშვილი, ცინცაძე, ბითაძე, მ. ქორქია.

**ტურნირები:** შერმადინი, საკანდელიძე – ცინცაძე – სანაძე, ო. ქორქია – საკანდელიძე, შენგელია, ბურჯანაძე.

**ჩემპიონები:** საკანდელიძე, ო. ქორქია – მინაშვილი, ჯორჯიკია, უგრეხელიძე, სხიერელი, კოვალენკო, მ. ქორქია, დერიუგინი.

# მე-6 ფრანგის „მარსელიოზა“!

**წლის მთავარი ინდივიდუალური ჯილდოს, FRANCE FOOTBALL-ის „ოქროს ბურთის“ გამარჯვებული „პარი სენ-ჟერმენის“ ფრანგი თავდამსხმელი უსმან დემბელე გახდა. მეორე ადგილი „ბარსელონას“ ესპანელმა შემტევმა, ლამინ იამალმა დაიკავა.**

28 წლის ფეხბურთელმა „პარი სენ-ჟერმენთან“ ერთად „ოქროს ბურთის“ საანგარიშო პერიოდში საფრანგეთის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, საფრანგეთის თასი და საფრანგეთის სუპერთასი მოიგო. ყველა ტურნირზე ჩატარებულ 53 შეხვედრაში მან 35 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ აქამდე ის არასდროს ყოფილა ნომინირებული „ოქროს ბურთისთვის“ მებრძოლ 30 ფეხბურთელს შორის.

დემბელე გახდა მეექვსე ფრანგი, რომელმაც წლის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო მიიღო – აქამდე ტიტულს რაიმონ კოპა, ჟან-პიერ პაპენი, მიშელ პლატინი, ზინედინ ზიდანი და კარიმ ბენზემა დაეუფლნენ.

მეოთხედ ისტორიაში პრიზი გათამაშდა სეზონის (2024 წლის 1 აგვისტოდან 2025 წლის 13 ივლისის პერიოდი) და არა კალენდარული წლის შედეგების მიხედვით. ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღეს ფიფა-ს რეიტინგის ასეულში მყოფი ქვეყნების სპორტულმა ჟურნალისტებმა.



### 2025 წლის „ოქროს ბურთის“ ათეული ასე გამოიყურება:

1. **უსმან დემბელე** (პსჟ, საფრანგეთი),
2. **ლამინ იამალი** („ბარსელონა“, ესპანეთი),
3. **ვიტინია** (პსჟ, პორტუგალია),
4. **მოჰამედ სალაჰი** („ლივერპული“, ეგვიპტე),
5. **რაფინია** („ბარსელონა“, ბრაზილია),
6. **აშრაფ ჰაკიმი** (პსჟ, მაროკო),
7. **კილიან მბაპე** („რეალი“, საფრანგეთი),
8. **კოულ პალმერი** („ჩელსი“, ინგლისი),
9. **ჯანლუიჯი დონარუმა** (პსჟ, „მან.სიტი“, იტალია),
10. **ნუნუ მენდეში** (პსჟ, პორტუგალია).

გათამაშების ორგანიზატორმა, France Football-მა ასევე გამოავლინა წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელიც. ზედიზედ მესამედ ეს ჯილდო „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, **აიტანა ბონმატის** ერგო.

2025 წლის „ოქროს ბურთის“ ნომინანტებს შორის მე-12 ადგილზე გავიდა **ხვიჩა კვარაცხელია.** ქართველმა ფეხბურთელმა თავისი შედეგი გააუმჯობესა, 2023 წელს ის მე-17 იყო.

სხვათა შორის, იმავე საღამოს პსჟ-მ ლიგა – 1-ში პირველი მარცხი განიცადა მარსელში – 0:1.

### „ოქროს ბურთი“ 2025-ის ყველა ნომინაციის გამარჯვებული

**წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი** – უსმან დემბელე (პსჟ, საფრანგეთი);

**წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი** – აიტანა ბონმატი („ბარსელონა“, ესპანეთი);

**წლის საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი ფეხბურთელი** – ლამინ იამალი („ბარსელონა“, ესპანეთი);

**წლის საუკეთესო ახალგაზრდა ქალი ფეხბურთელი** – ვიკი ლოპესი („ბარსელონა“, ესპანეთი);

**წლის საუკეთესო მამაკაცი მეკარე** – ჯანლუიჯი დონარუმა (პსჟ/„მან.სიტი“, იტალია);

**წლის საუკეთესო ქალი მეკარე** – ანა ჰემპტონი („ჩელსი“, ინგლისი);

**წლის საუკეთესო მამაკაცი მწვრთნელი** – ლუის ენრიკე (პსჟ, ესპანეთი);

**წლის საუკეთესო ქალი მწვრთნელი** – სარინა ვიგმანი (ინგლისის ნაკრები, ნიდერლანდები);

**წლის საუკეთესო ბომბარდირი მამაკაცთა შორის** – ვიქტორ გიოკერეში („არსენალი“/„სპორტინგი“, შვედეთი);

**წლის საუკეთესო ბომბარდირი ქალთა შორის** – ევა პაიორი („ბარსელონა“, პოლონეთი)

**წლის საუკეთესო გუნდი მამაკაცთა შორის** – პსჟ (საფრანგეთი);

**წლის საუკეთესო გუნდი ქალთა შორის** – „არსენალი“ (ინგლისი).




# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ოთარ წეროძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე,** საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, მწუხარებას გამოთქვამს სტუ-ის ყოფილი პრორექტორის, თბილისის „დინამოს" ყოფილი პრეზიდენტის, აგროკონსორციუმ „წეროვანის" ყოფილი გენერალური დირექტორის, სტუ-ის „ოქროს მედლის" კავალერის – **ოთარ წეროძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებსა და აღზრდილებს.

**„მწუხარებას გამოვთქვამ ოთარ წეროძის გარდაცვალების გამო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს.**

**ბატონი ოთარი ათწლეულების განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ჩვენს ქვეყანას. მან თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვა როგორც უნივერსიტეტის, ისე ქვეყნის სამეცნიერო და საზოგადოებრივ სივრცეში. ბატონი ოთარ წეროძე გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით, რაც მას ღირსეულ ხელმძღვანელად, კოლეგად და ჭეშმარიტ მენტორად აქცევდა.**

**ბატონ ოთარ წეროძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარებაში. წლების მანძილზე მისი თავდაუზოგავი შრომა, სტრატეგიული ხედვა და პროფესიული გამოცდილება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მისიის გაფართოებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა, რისთვისაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს – ბატონო ოთარ, მადლობას გიხდით ყველაფრისათვის!",** – აღნიშნულია სამძიმრის წერილში.

---

**მურთაზ მამისეიშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი**

# ოთარ წეროძე

**ოთარი იყო ყველასათვის პატივსაცემი, ღირსეული პიროვნება, გამოირჩეოდა ადამიანებისადმი გვერდში დგომით, თანაგრძნობით.**

**მშვიდობით, ჩემო უერთგულესო მეგობარო, ოთარ, გაგვიჭირდება შენ გარეშე ცხოვრება როგორც მე, ასევე ყველა შენს ახლობელს. მინდა, თანავუგრძნო ოჯახს, ჩემთვის ძალიან ძვირფასს დიალას, ხათუნას და მარიკას.**

შენი

**მურთაზ მამისეიშვილი**

---

**ბექარ ვაშაკიძე და უახლოესი მეგობრები სამძიმარს უცხადებენ უშანგი და ლაშა მათიაშვილებს მამის**

# ნუგზარ მათიაშვილის

**გარდაცვალების გამო.**



# შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი ნაძირალა დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის ხელშეწყობის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სამი პირი დააკავეს, მათ შორის ორი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.**

ამოღებულია 2 კილოგრამამდე „მეთადონი" და ნახევარ კილოგრამამდე „ალფა პვპ". ინფორმაციას შსს ავრცელებს. დანაშაული 20 წლით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პალესტინის სახელმწიფო მალტამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმაც აღიარეს

**პალესტინის სახელმწიფო ოფიციალურად მალტამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმაც აღიარეს,** – ამის შესახებ აღნიშნული ქვეყნების ლიდერებმა გაეროს გენერალური ასამბლეის სამიტზე განაცხადეს.

**„ბელგია დღეს მსოფლიოსთვის ძლიერ პოლიტიკურ და დიპლომატიურ სიგნალს გზავნის, როდესაც იმ ქვეყნების ჯგუფს შეუერთდა, რომლებმაც პალესტინის სახელმწიფოს აღიარება გამოაცხადეს",** – განაცხადა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა **ბარტ დე ვევერმა.**

ამ დროისთვის პალესტინის სახელმწიფოს 145-ზე მეტი ქვეყანა აღიარებს. **გუშინ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პალესტინის სახელმწიფო ოფიციალურად საფრანგეთმა და მონაკომაც აღიარეს.**

# ევროპაში სამედიცინო პერსონალის დიდი დეფიციტია!

**ექთნებისთვის მინიმალური ხელფასის განსაზღვრის შემდეგ, მათი საშუალო ანაზღაურება 700 ლარამდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი მეტყველებს, რომ 2023 წელს ამოქმედებულ რეგულაციას, რომლის მიხედვითაც, ექთნის მინიმალური ანაზღაურება განისაზღვრა, დადებითი ეფექტი აქვს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ექთნების დეფიციტი შემცირდა. როგორც ექთნების პროფესიული განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელმა მარინა სახვაძემ დაადასტურა, დეფიციტი კვლავ დეფიციტად რჩება.**

## საქართველოდან კადრების გადინება გაძლიერდება!

**„ექთნების საშუალო ხელფასი 700 ლარზე ნაკლები აღარ არის, მაგრამ ამან კადრების რაოდენობაზე მაინც ვერ იმოქმედა, თუმცა პროფესიულ კოლეჯებში მსურველების რაოდენობა გაიზარდა. არც ერთი კოლეჯი, რომელსაც საექთნო პროგრამა აქვს, შეუვსებელი არ დარჩენილა. კოლეჯებში ეს პროფესია მოთხოვნადი გახდა",** – განაცხადა **სახვაძემ** და დასძინა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დეფიციტი აღმოიფხვრება, რადგანაც ქვეყნიდან კადრების გადინება კვლავ აქტუალური პრობლემაა.

**„ჩემთან, კოლეჯში, საექთნოზე მოსულ სტუდენტებს რომ ვკითხე, რატომ ჩააბარეს, ოციდან ათმა მითხრა, რომ გერმანიაში უნდა წასვლა და ამიტომ ჩააბარა. გადინება ისევ აქტუალური პრობლემაა, ექთნების დეფიციტს ამიტომაც ვერ ვავსებთ",** – განაცხადა ექთნების პროფესიული განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელმა.



ეს პრობლემა მართლაც რეალურია და თანაც დროში განგრძობადია. საქმე ისაა, რომ ჯანმოს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) პროგნოზით, 2030 წელს, ევროპაში 1 მილიონამდე სამედიცინო კადრის დეფიციტი იქნება. ჯანმო-ევროპის ახალი ანგარიშის თანახმად, რეგიონის ჯანდაცვაში უცხოელი სპეციალისტების რაოდენობა ბოლო ათი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა: ექიმებს შორის – 58%-ით და ექთნებს შორის – 67%-ით. მეტიც, მათი უმრავლესობა, ანუ ექიმების 60%-ზე მეტი და ექთნების 72% – ევროპის ფარგლებს გარეთ იყო მომზადებული.

ანგარიში მოიცავს ცხრა ქვეყანას, ირლანდიიდან – ტაჯიკეთამდე და აჩვენებს, თუ რამდენად არათანაბრად ნაწილდება მიგრაციის შედეგები. აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპა ათასობით პროფესიონალს კარგავს, რაც არსებული სამუშაო ძალის დეფიციტს ამწვავებს. ამასობაში, დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი უცხოელ მუშაკებზე. მაგალითად, ირლანდიაში, ექთნების ნახევარზე მეტი და ექიმების 43% საზღვარგარეთ კურსდამთავრებულები არიან.

ჯანმო-ს პროგნოზით, 2030 წლისთვის, ევროპა ჯანდაცვის 950 000 მუშაკის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება. ორგანიზაციის აზრით, ჯანდაცვის სისტემების კოლაფსის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნებმა სასწრაფოდ უნდა განახორციელონ კადრების შენარჩუნების სტრატეგიები და ინვესტიციები ჩადონ ტრენინგებში.

აქედან გამომდინარე, რა ელოდება საქართველოს, სამედიცინო პერსონალის გადინების თვალსაზრისით, ძნელი გამოსაცნობი არ არის. როგორ შეიძლება დამაგრდეს ადგილზე პერსონალი, ეს რთული საკითხია. პროფკავშირ „სოლიდარობის ქსელის" გამგეობის წევრი რევაზ კარანაძე მიიჩნევს, რომ გამოსავალი ხელფასების მატებასა და ჯანდაცვის სექტორის კანონებით რეგულირებაშია და არა – პრივატიზებაში, რაც ახლა ხდება.

**„პირველ რიგში, ხელფასები უნდა გაიზარდოს. უნდა იყოს ღირსეული ცხოვრების დონესთან შესაბამისი ანაზღაურება და მეორე – პაციენტებისა და ექთნების რაოდენობა უნდა განისაზღვროს იმიტომ, რომ 15 პაციენტზე, ერთი ექთანი არ უნდა მოდიოდეს, სიგიჟეა. უბრალოდ, ვერ მოახერხებ, რომ ხარისხიანად შეასრულო საკუთარი ფუნქციები.**

**რაც შეეხება მესამე ფაქტორს, ჯანდაცვა არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ბიზნესი. ეს არის სოციალური საკითხი. კანონის დონეზე უნდა დარეგულირდეს და არა პრივატიზებისა და ჰოსპიტალური სექტორის საწოლების გაყიდვის დონეზე. როდესაც საავადმყოფო გადაკეთდება ბიზნესად, მთავარი ხდება მოგება და არა პაციენტი",** – აღნიშნა **კარანაძემ.**

საქართველოში, როგორც ექიმების, ისე ექთნების რაოდენობა კიდევ მცირდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს, ექიმების რაოდენობა 289 კაცით შემცირდა და 24 139 შეადგინა. რაც შეეხება ექთნებს, 2024 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში, აღნიშნულ პროფესიაში 21 656 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც 167 ადამიანით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

**ბექა დანელია**

# „ფილარმონია — დროის კადრები“!

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „სთარინგ ჯორჯიასთან“ ერთად იწყებს პროექტს — „ფილარმონია დროის კადრები“.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში გაცოცხლდება თბილისის ისტორიულ საკონცერტო დარბაზთან დაკავშირებული საარქივო მასალები, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა საცავში ინახებოდა და ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იყო.

**„პროექტი „ფილარმონია დროის კადრები“ ფოტოვიდეომასალისა და აუდიოფირების გაციფრულებას გულისხმობს.**

ათწლეულების შემდეგ პირველად ერთად შეგროვდება მიმოფანტული საარქივო მასალები და განთავსდება ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბაზაში. ამით მასალები ხელმისაწვდომი გახდება როგორც მკვლევრებისთვის, ისე ფილარმონიის ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

**ფილარმონიის შენობა 1971 წელს გაიხსნა და ამ ხნის განმავლობაში არაერთ ქართველ თუ მსოფლიო ვარსკვლავსა და საერთაშორისო დონის ღონისძიებას უმასპინძლა.**





## „ქართულ ლიგას“ წალვერის კულტურის სახლი მასპინძლობდა

**წალვერის კულტურის სახლში გაიმართა სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონატი „ქართულ ლიგაში“, რომელშიც რეგიონის ექვსი მუნიციპალიტეტის 6 გუნდი მონაწილეობდა.**

პირველი ადგილი ახალქალაქის გუნდმა **„ძველმა თბილისმა“** დაიკავა;

მეორე ადგილი — ნინოწმინდის გუნდმა **„მიმინომ“**;

მესამე ადგილი კი ბორჯომის გუნდმა **„სამკურნალომ“**.

მონაწილეები ჟიურიმ შეაფასა.

ფესტივალს სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ნოდარ თოფურია - „არტ გალერეა ნობლესში“




**25 სექტემბერს, 12:00 საათზე, „არტ გალერეა ნობლესი“ ნოდარ თოფურიას მხატვრული მემკვიდრეობის გამოფენასა და წიგნის წარდგენას უმასპინძლებს.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, წიგნის ავტორია **დავით ანდრიაძე**; დიზაინი: **ბესიკ დანელია**; ფოტო — **ლევან ჩხატარაშვილი.**

პროექტის ავტორები — **ნინი ლაბაძე, ნინუცა რამინიშვილი, თათული ფარქოსაძე.**

გამოფენა 15 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება.

## დემეტრე გამსახურდიამ დადიანების სასახლეში გამოფენა გახსნა

**დღეს, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმის, უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის სამეჯლისო დარბაზში კომპოზიტორმა დემეტრე გამსახურდიამ 21 სექტემბერს უახლესი საფორტეპიანო კომპოზიცია „ნეტარი არსებითობა“ შეასრულა. დადიანების სასახლის ინფორმაციით, ამ კომპოზიციით მან გახსნა გამოფენა — „რეტროსპექტივა ფერწერაში“.**

გამოფენა 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება.



## სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის თეატრში




**შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტზე ქართველი და სომეხი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდა. საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა დაესწრნენ.

## წიგნების კითხვა სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებთ!

**ახალი კვლევის თანახმად, ადამიანები, რომლებიც რეგულარულად კითხულობენ წიგნებს, უფრო დიდხანს ცოცხლობენ.**

ეს შესანიშნავი გზაა განსატვირთად, თანაც ისე, რომ ზედმეტი ინფორმაციებით არ გაღიზიანდეთ! ამიტომ იმ წიგნის ხელში აღება ნამდვილად ღირს, რომლის წაკითხვაზეც ამდენი ხანია ფიქრობთ. თუმცა სანამ ამას იზამთ, წიგნის კითხვის უფრო კონკრეტულ სარგებელსაც გაგაცნობთ.

ჯერ იმას გეტყვით, რომ კვლევა 3635 მონაწილეს მოიცავდა და 50 წელს ზემოთ მყოფ ადამიანებს 12 წლის მანძილზე შეისწავლიდა. მათ აღმოაჩინეს, რომ მონაწილეები, რომლებიც დღეში წიგნს 30 წუთის ან უფრო მეტი ხნის მანძილზე კითხულობდნენ, 23 თვით მეტხანს ცოცხლობდნენ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც წიგნებს არ კითხულობდნენ. მიღებული შედეგი შენარჩუნდა ისეთი ცვლადების განხილვის შემთხვევაშიც, როგორებიცაა ასაკი, სქესი, განათლება და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

საინტერესოა, რომ მსგავსი სარგებელი არ იყო ძლიერად გამოხატული იმ პირებში, რომლებიც მხოლოდ გაზეთებსა და ჟურნალებს კითხულობდნენ — **„როცა წიგნის კითხვას იწყებთ, იგი მეტ კონცენტრაციას, მდგრად ფოკუსსა და აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, ვიდრე მოკლე სტატიები“.**

გულწფელად, გვეუბნებიან, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების გარდა, კითხვით თქვენი ტვინის ფუნქციაც შეგიძლიათ, დაიცვათ.



**„აქტივობები, რომლებიც გონებას გამოწვევის წინაშე აყენებს, იქნება ეს რეგულარულად კითხვა თუ სხვა რამ, ტვინის სიჯანსაღის რუტინის ღირებული ნაწილია. მასშტაბურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც მეტს კითხულობენ, მეხსიერებისა და კოგნიტიური დაქვეითების უფრო დაბალი რისკის ქვეშ არიან ასაკში შესვლისას“,** — განმარტავს ნეიროლოგი ჯონათან გრაფ-რადფორდი.

ასე იმიტომ ხდება, რომ კითხვა კოგნიტიური რეზერვის ჩამოყალიბებას ეხმარება, მენტალური ბუფერის, რომელიც ტვინს საშუალებას აძლევს, დაბერებისა თუ დაზიანების პროცესში კომპენსაცია უკეთ მოახდინოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოგნიტიური რეზერვი თქვენს ტვინს უფრო მაღალ დონეზე ფუნქციონირებაში ეხმარება, მაშინაც კი, როცა ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებს განიცდით ტვინის ჯანმრთელობის მხრივ.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ კობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან კობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 26 სექტემბერს**